# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (9.853)

17 - 24 ნოემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ARR DAWVA FOTOLI!

გვ. 4

## „მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს“

გვ. 4

## „მთავარია, გქონდეს მონდომება“

გვ. 6

# საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს გაიმართება

გვ. 3

## სამხედრო რეზერვის მართვის ახალი სისტემა ამოქმედდა

გვ. 2

## სოციალური დახმარების მოლოდინში...

გვ. 3

## ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-ის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი„ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 28 ნოემბრამდე გაზეთი „შირაქი„ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

# სამხედრო რეზერვის მართვის ახალი სისტემა ამოქმედდა

***სამხედრო ძალების რეზერვი სამხედრო ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად იქმნება. რეზერვის სისტემის ფუნქციონირება ეროვნული თავდაცვის გეგმის, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის, ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე ხორციელდება.***

სამხედრო ძალების რეზერვის მართვის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებისთვის, სამობილიზაციო რესურსის (რეზერვისტები) ოპტიმალურად გამოყენების, რეზერვისტების მომზადებისა და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ტოტალური

თავდაცვის პრინციპი შეიმუშავა, სადაც რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პარლამენტის მიერ, სულ რამდენიმე თვის წინ მიღებული კანონის თანახმად, შეიქმნა ორი ტიპის რეზერვი: აქტიური და სამობილიზაციო. აქტიური სარეზერვო სამსახური იქნება ნებაყოფლობითი, გაფორმდება 5 წლამდე ვადით, ხოლო 5 წლიანი პერიოდი ჩაითვლება შრომის საერთო სტაჟში. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირს მიეცემა ყოველთვიური შრომითი გასამრჯელო, რომელიც იქნება მისი წოდებრივი სარგოს 20%, ხოლო გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში - შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა. აქტიური სარეზერვო სამსახური დაიყო სამ ნაწილად:

- შეიარაღებული ძალების რეზერვი;
- ტერიტორიული რეზერვი;
- სპეციალისტთა რეზერვი;

შეიარაღებული ძალების რეზერვი უზრუნველყოფს სამხედრო ძალების შემადგენლობაში რეზერვისტების დაუყოვნებლივ ჩართვას, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გაძლიერებას და მხარდაჭერას.

ტერიტორიული რეზერვი შეიარაღებული ძალების დამატებით საბრძოლო მხარდაჭერას განახორციელებს, ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების გზით. ტერიტორიული რეზერვი შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შევა და ორგანიზებული იქნება ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება სამანევრო ელემენტებისგან, აგრეთვე დასახული ამოცანებისა და გეოგრაფიულ არეალს მორგებული ტერიტორიული რაზმებისგან.

სპეციალისტების რეზერვის მიზანია სამხედრო ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების გადაჭრა. მაგალითად, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი ქვეყანას შეიძლება ემსახუროს საკუთარი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით. იქ, სადაც, მისი შრომა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის უფრო ეფექტური იქნება.

რეზერვის მეორე ეტაპის, სამობილიზაციო რეზერვის მიზანი სამხედრო ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსებაა. სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს სამხედრო სამსახურის წელთა ნამსახურობაში ეთვლება სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდი (წელიწადში არაუმეტეს 45 დღე). სამობილიზაციო რეზერვში ეტაპობრივად ყველას გაიწვევენ. იმ პირებს, ვინც 18-დან 60 წლამდეა და არის სამხედრო თვალსაზრისით ვარგისი, ახალი ელექტრონული სისტემა აღრიცხავს. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლდება: ა) ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა; ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი; გ) 60 წლის ასაკს მიღწეული პირი.

ცვლილებებით, სამხედრო-სარეზერვო სამსახურში მყოფი პირის ასაკი განისაზღვრება: შეიარაღებული ძალების რეზერვში - 50 წლამდე, ტერიტორიულ რეზერვში - 55 წლამდე, სპეციალისტების რეზერვში - 65 წლამდე, სამობილიზაციო რეზერვში - 60 წლამდე. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს რეგულაცია, რომლის თანახმადაც, 60 წელს გადაცილებული პირი, მისი სურვილის შემთხვევაში, შეიძლება დარჩეს ან ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში. სიახლეა ასევე, სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემაც, რომელიც მოიცავს სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს, რაც გაზრდის სამობილიზაციო რეზერვის ოპტიმალური გადანაწილება-გამოყენების, ასევე ქვედანაყოფების გაძლიერებისა და დანაკარგების უწყვეტი შევსების შესაძლებლობებს.

მართვის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შექმნის და ოპერირებას გაუწევს ელექტრონული მართვის სისტემას, რომელიც 2020 წლის ივნისიდან ამოქმედდება. მისი საშუალებით განხორციელდება სამობილიზაციო რესურსის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია.

ცვლილებებს განიცდის, ასევე სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის და გამოძახების ინსტიტუტიც, კერძოდ - მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რეზერვისტის გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მუნიციპალიტეტი. ახალი პროექტის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვისტების გაწვევას გამოაცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა ან საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ხოლო მათ გამოძახებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონპროექტის მიხედვით, მკაფიოდ განისაზღვრა ის გარემოებები, როდესაც შესაძლებელი იქნება სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა სამობილიზაციო სამხედრო სამსახურში გაწვევა. ეს არის:

- საომარი მდგომარეობა – გაწვევას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი;
- საგანგებო მდგომარეობა, აგრეთვე საგანგებო სიტუაცია - გაწვევას აცხადებს საქართველოს მთავრობა;
- სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმება ან/და რეზერვისტების მომზადება - გაწვევას აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინიტრი.

რეზერვში სამსახურის დროს მოქალაქეები ისარგებლებენ სამედიცინო დაზღვევით, სოციალური და სამართლებრივი დაცვით, სტუდენტებს კი სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის შემდეგ, სამხედრო-სავალდებულო სამსახური გავლილად ჩაეთვლებათ. ცვლილებას განიცდის ასევე სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის საკითხი. რეზერვის საკითხების სრულყოფილად დარეგულირების მიზნით იქმნება სამობილიზაციო კომისია. აღნიშნული კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდება ახალი პრინციპების გათვალისწინებით და კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესი.

ძირითადი კითხვები ახალი სარეზერვო სისტემის ფინანსებთან და საჭირო რესურსებთან დაკავშირებით ჩნდება, ფინანსურად რამდენადაა მზად შესაბამისი უწყებები, რომ არსებული რეალობა კანონს მოარგოს. პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში აქტიურ რეზერვში მყოფი პირების შრომის ანაზღაურების, კვების, აღჭურვის და მომზადების მთლიანი ხარჯი - 1 370 934 ლარს შეადგენს. საგულისხმოა, რომ მუდმივი ოპერატიული კადრების არსებობისთვის და მათი დონის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი ნამდვილად საჭირო გახდება.

* * *

გაზეთ „შირაქის“ კითხვას თუ რამდენად დროული იყო რეზერვის სისტემის ცვლილება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, მამუკა ალადაშვილი პასუხობს: **„რა თქმა უნდა, ეს იყო დროული ცვლილება, შეიძლებოდა ადრეც მომხდარიყო და განხორციელებულიყო. საქართველოში გარკვეული პერიოდი არ ხდებოდა გაწვევა, შეჩერებული იყო. თავდაცვისა და სიძლიერის კუთხით ეს ქვეყნისთვის აუცილებელია. ვფიქრობ, რომ სარეზერვო სამსახურის შექმნა საზოგადოებაში პატრიოტულ გრძნობებს აღძრავს და ოპტიმისტური**

**გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს“.**

მამუკა ალადაშვილმა ასევე ისაუბრა საპილოტე პროგრამის განხორციელების ეტაპზე და იმაზეც, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში: **„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამაში პირველ ეტაპზე შეირჩა საქართველოს სამი რეგიონი: კახეთი, აჭარა და გურია. ამ სამ რეგიონში განხორციელდა 18-50 წლამდე მოქალაქეთა ჩარიცხვა, სტუდენტები - 18-22 წლამდე. საპილოტე პროექტის მიხედვით მთლიანი კონტიგენტის 30% სწორედ სტუდენტები იქნებიან. თუკი სტუდენტები აბარებდნენ უნივერსიტეტებში და შემდეგ 4 წლის განმავლობაში არ ხდებოდა მათი გაწვევა, ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ თან ისწავლონ და თან პარალელურად იმსახურონ. წლის განმავლობაში სულ 45 დღე უნდა იყვნენ რეზერვში, სადაც რიგითის საშუალო ანაზღაურება წლიური 2700 ლარი იქნება. შესაბამისად, შეუძლიათ, რომ სწავლის საფასურიც დაფარონ. თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული გვარდიის მიერ აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამა 2018 წლის 1 აგვისტოს დაიწყო და დასრულდა 22 სექტემბერს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სარეზერვო სამსახურში ჩაირიცხა 12 მოქალაქე, მსურველთა რაოდენობა 36 ადამიანი იყო, რაც ბევრად აღემატებოდა ჩარიცხულთა რაოდენობას, მაგრამ ყველა მოხალისემ ვერ გადალახა შესაბამისი კონკურსი. სამხედრო სამედიცინო შემოწმების გარდა, მოხალისეებმა ვერ გაიარეს ფიზიკური მომზადების ნორმატივები და ფსიქოლოგიური ტესტირება. კახეთში, ქალაქ თელავში აქტიური რეზერვის ახალშექმნილმა ასეულმა უკვე გაიარა სამხედრო საწრთვნელი მომზადების პირველი ეტაპი. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ასეულის მეორე შეკრება. მომზადების ეტაპზე მიმდინარეობს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც მოქალაქეები იძენენ სამხედრო და საბრძოლო უნარ-ჩვევებს, რათა პირველადი სამხედრო მომზადება გავლილი ჰქონდეთ. უნივერსიტეტში თუ სხვა დაწესებულებებში, შეკრებებზე გამოცხადების წინასწარ ცნობილი თარიღები, სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი, მოქალაქეებს საპატიოდ ეთვლებათ. 2019 წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ეროვნული გვარდია კვლავ განახორციელებს სარეზერვო სამსახურში მოქალაქეთა ჩარიცხვას“.**

კითხვაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება ელექტრონული მართვის სისტემა, მამუკა ალადაშვილი გვპასუხობს: **„ეს გააადვილებს სამხედრო სამსახურის მართვის, საბუთების გადაგზავნის პროცედურებს, გააუმჯობესებს და სრულყოფს მართვის პროცესს, რის შედეგადაც ვფიქრობ შეკრული სისტემა ჩამოყალიბდება. ამჟამადაც, ყველა სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირის ინფორმაცია კომპიუტერშია ჩატვირთული, რაც გვიადვილებს საბუთებთან ურთიერთობას. დოკუმენტაციის წარმოებისთვის ნამდვილად ხელსაყრელი და ეფექტური საშუალება იქნება“.**

აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამა ოფიციალურად თელავში, 19 ოქტომბერს, მე-20 კადრირებული ბრიგადის ბაზაზე დაიწყო, სადაც პროგრამაში მონაწილე რეზერვისტებმა სამხედრო ფიცი დადეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ, რეზერვისტებს აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამის დაწყება პირადად მიულოცეს. თავდაცვის მინისტრმა სიტყვით მიმართვისას ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებში აქტიური რეზერვის პროგრამის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება: **„დღეს ჩვენ ვიწყებთ პროგრამას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად“** - აღნიშნა ლევან იზორიამ.

22 ოქტომბერს კახეთის შემდეგ, რეზერვისტებმა სამხედრო ფიცი, ამჯერად ბათუმში, ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის ბაზაზე დადეს.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს გაიმართება

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ სხდომაზე მიიღეს. 28 ნოემბერი ოთხშაბათი, სამუშაო დღეა, რის გამოც, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მეორე ტურის თარიღის გამოცხადება რამდენიმე საათით თბილისის მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ დაასწრო. კალაძემ Edison Research-ის კვლევის შედეგებს სიცრუე უნოდა და განაცხადა, რომ 28 ნოემბერს რეალობა განსხვავებული იქნება.

სამუშაო დღეს კენჭისყრის დანიშვნას ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ეწინააღმდეგება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ სხდომის გამართვამდე ცესკოს მოუწოდეს, რომ არჩევნები 28 ნოემბრის ნაცვლად, 1 დეკემბერს, შაბათ დღეს დაენიშნა. მათ მიაჩნიათ, რომ კენჭისყრის თარიღად შაბათის განსაზღვრა საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები თანამოქალაქეების საარჩევნო უფლებების რეალიზების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურში, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართა, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 38.64% (615 433 ხმა) მიიღო, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა, გრიგოლ ვაშაძემ კი 37.73% (600 970 ხმა).

**28 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, საზღვარგარეთ გახსნილი საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 24:00 საათამდე იმუშავებენ. აღნიშნული გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე მიიღო.**

კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების დღე არის უქმე დღე. შესაბამისად, მიმდინარე წლის 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, საქართველოში ოფიციალურად არასამუშაო დღეა.

# სოციალური დახმარების მოლოდინში...

## „გამიხარდა, ჭერი რომ გაამაგრეს და გადახურეს, მაგრამ ეს ქულებს კიდევ უფრო ასწევს და რაღას აღმიდგენენ?“

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში მცხოვრებ 86 წლის თინა წიკლაურის საცხოვრებელი სახლი გადახურეს. მარტოხელა მოხუცის სახლს გამაგრებითი სამუშაოები ქველმოქმედების ფარგლებში, წიკლაურების საგვარეულო კავშირის დაფინანსებით ჩაუტარდა. მოხუცი ავარიულ სახლში ცირროზით დაავადებულ ახალგაზრდა შვილთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა 41 წლის შვილი რამდენიმე თვის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ რთულ პირობებთან ბრძოლა მარტოს უწევს. ბოლო წლებში ჩაწოლილი შვილის ერთადერთი პატრონი თავად იყო. უკვე რამდენიმე წელია, მათ ძველ სახლში ისევე წვიმს, როგორც გარეთ. საცხოვრებელი ხელის შევლებას, დიდი ხანია, საჭიროებს, თუმცა, ვაჟი ავადმყოფობის, დედა კი უსახსრობის გამო საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა.***

„როგორც გარეთ წვიმდა ისე შიგნით. ამიტომ როცა წვიმს, ქვემოდან „პოლის ჯოხს“ შევუყუდებ ხოლმე, მეშინია ჭერი არ დამეცეს და არ ჩამიტანოს. საწოლსაც აწვიმს, ამიტომ წვიმის დროს თავს მეორე მხარეს გადავიტან ხოლმე და ზემოდან ცელოფანს ვიფარებ. ყველა მხრიდან წყალი ჩამოდის. იატაკიც არ ვარგა, ქარიც შემოდის, მორყეული კარებია და საბანს წავიფარებ ხოლმე, რომ სიცივემ არ შემაწუხოს. ძირითდად, ცარიელ ხახვს ვჭამ, სხვა არაფერი გამაჩნია, რომ შევატანო. ახლაც, ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, ფქვილის კერძი უნდა გამეკეთებინა, ჩიხითმისნაირად. ესაა ჩვენი საკვები, ხახვი და ნიორი... რამდენი წელია, ასე ვართ, რომ სული გადავირჩინოთ. ეზოში თუ რამეს მოვიყვან, ეს არის ჩემი საკვები. მაგრამ წელს აღარც ხახვი მეთესა, აღარც ნიორი, ისიც საყიდელი გამიხდება, ამ ზამთარს რა უნდა ვქნა, არ ვიცი. გეფიცებით, ბევრჯერ მშიერსაც დამიძინია. თუ რამ გამაჩნდა, შვილს ვუნახავდი, მას ვაჭმევდი, რომ ის არ დასუსტებულიყო. შაქარიც არ მაქვს, რომ ელემენტარულად ჩაი მაინც მოვადულო. მეზობლებმა გაიხარონ, ეგენი მეხმარებიან. ლუკმას და ტანსაცმელს ისინი მაძლევენ. პენსიას ვიღებ, ჩემი ერთადერთი შემოსავალი ესაა, მაგრამ არაფერში არ მყოფნის. ახალგაზრდა შვილის წამლებში მეხარჯებოდა. სამი თვისას ერთად გამოვიტან ხოლმე და ისე მიდის ხელიდან, ვერ ვგრძნობ. აი, ამ თვეშიც ისე გამითავდა პენსიის ფული, რომ 5 ლარიანი წამლის ყიდვა მინდოდა და ისიც ველარ ვიყიდე. დენის ფულიც ორი თვეა, არ გადამიხდია. არ ვიცი, რამდენს დამაჯარიმებენ. დიდი ეზო მაქვს, მაგრამ მოსახნავია, ვერ ვამუშავებ, აბა, როგორ დავამუშაო, რა შევძლო. დახმარება რომ შემიწყდა, სულ სამი ქათამი მყავდა, სხვა არაფერი მაბადია. მათაც მითხრეს ნაკვეთი დიდი გაქვსო. დიდი ნაკვეთი რას მარგებს, როცა დაუძლურებული ვარ. დახმარება რამდენიმე თვის წინ შემიწყვიტეს, ისეთი მაღალი ქულები მომივიდა, არ ვიცი რამ გამოიწვია. ალბათ ქათმების გულისთვის, სხვა მიზეზი არ მექნებოდა. ჩემი შვილი ურთულეს პირობებში სიცოცხლეს ებრძოდა, საშველი არსაიდან იყო,“ – ყვება თინა წიკლაური.

მისი შვილი – 42 წლის როინი, უკურნებელი სენით ციხეში დაავადდა, ცირროზის ბოლო სტადიაში მყოფი, მიმდინარე წლის მაისში გარდაიცვალა. როგორც არხილოსკალოში ამბობენ, გაჭირვების გამო ელექტროკაბელები მოიპარა, რის გამოც დააპატიმრეს.

წიკლაურების საგვარეულო კავშირში ჩვენთან საუბრისას განმარტავენ, რომ ოჯახის პრობლემების შესახებ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ვიდეორეპორტაჟიდან შეიტყეს, რის შემდეგაც დახმარების სურვილი გაუჩნდათ. წუხან, რომ ვიდრე დედოფლისწყაროში ჩამოსვლას შეძლებდნენ, ავადმყოფი შვილი გარდაეცვალა.

„ვიცოდით, რომ დედოფლისწყაროს ამ საზღვრისპირა ზონაში ბევრი წიკლაური ცხოვრობს, აქ ბევრი მოგვარე გვეგულება და ძალიან ვამაყობთ. მაგრამ კონკრეტულად ამ ოჯახის შესახებ ინფორმაცია არ გვქონდა. მათი პრობლემები ტელევიზიით შევიტყეთ. „ობიექტივის“ ჟურნალისტები დაგვეხმარნენ, დაგვაკავშირეს და შევძელით ჩამოვსულიყავით და ჩვენი წვლილი შეგვეტანა. ჯერ ადგილობრივები დაგვეხმარნენ, აზომეს საცხოვრებელი ფართი და მონაცემები თბილისში მოგვაწოდეს, რომ გათვლილი ყოფილიყო ყველაფერი. ვიდრე თანხების მობილიზების ორგანიზება მოხერხდა, სამწუხაროდ, ქალბატონ თინას შვილი გარდაეცვალა. დაფუძნებული გვაქვს ა(ა)იპ „წიკლაურთა საგვარეულო ერთობა“, გვაქვს საქველმოქმედო ფონდის ანგარიში. ოჯახებში გადავაბრძანებთ ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს, რომელთან ერთად არის შესაწირი ყულაბა. მასშიც გროვდება ხოლმე გარკვეული რაოდენობის თანხა. სწორედ ამ ანგარიშზე ჩარიცხული და ყულაბაში მოგროვილი თანხით ვანხორციელებთ ხოლმე სხვადასხვა პროექტებს. ჩვენი გვარის ხელმოკლე ოჯახებს ვეხმარებით ხოლმე. ამ პროექტს დავარქვით „დავეხმაროთ ერთმანეთს“. ჩვენ ვეხმარებით წიკლაურებს და ქველმოქმედების ინიციატორ წიკლაურებს ვუწყობთ ხელს ჩვენი მეშვეობით დახმარება ადრესატამდე მივიდეს. თუმცა, ჩვენი ფონდის ბენეფიციარი შეიძლება იყოს სხვა გვარის წარმომადგენელიც. წიკლაურთა საგვარეულო ერთობა დაილოცა პატრიარქის მიერ 2010 წლის 23 მაისს. ხატმწერ მამუკა გელაშვილის მიერ დაიწერა საგვარეულო ხატი, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. 2012 წელს კი იურიდიულად დაფუძნდა წიკლაურთა საგვარეულო ერთობა. მოგვენიჭა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი. მრავალი წელია, ქველმოქმედებას ვეწევით. გარდა ამისა, ვცდილობთ შემოქმედებითი ნიჭით და სპორტული წარმატებების მქონე მოგვარეებს პოპულარიზაციაში დავეხმაროთ, მათ შორის შემოქმედებითი საღამოებისა თუ დარბაზების ორგანიზებაში,“ – განუცხადეს „შირაქს“ საგვარეულო კავშირში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ თუკი არხილოსკალოში მცხოვრები თინა წიკლაური სააგენტოს ადგილობრივ ფილიალს განცხადებით მიმართავს, მისი სარეიტინგო მონაცემები ხელახლა დაითვლება და შესაძლებელი გახდება, დახმარების აღდგენის შანსი მიეცეს.

ოჯახის პრობლემას კარგად იცნობს დედოფლისწყაროს მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი.** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ის ამბობს, რომ სოფლის რწმუნებული და თვითმმართველობა ოჯახს ყოველთვის გვერდით ედგა.

სოფელ არხილოსკალოს მაჟორიტარი დეპუტატი დედოფლისწყაროს საკრებულოში, **შალვა ხორნაული** გაზეთ „შირაქთან“ განმარტავს, რომ წიკლაურს სოფელი ხშირად დახმარებია და ბოლო ხანსაც მოსახლეობამ საკუთარი წვლილი შეიტანა.

„ამასწინათ, პირადად მე გადმომირიცხა ამერიკაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა არხილოსკალოელმა ქალბატონმა ფულადი თანხა 100 დოლარის ოდენობით, სწორედ ამ ქალბატონის დასახმარებლად და მე პირადად მივუტანე სახლში. სოფელში უბან-უბან ჩამოიარეს, ზოგმა ფული დადო, ზოგიერთმა საკვები პროდუქტები მოაგროვა, ზოგმა ტანისამოსი. მანამდეც, ვიდრე როინი გარდაიცვლებოდა, მისმა თანაკლასელებმა შეაგროვეს ფული და დახმარება გაუწიეს,“ – ამბობს შალვა ხორნაული.

მარტოდ დარჩენილ მოხუცს ქველმოქმედების შემდეგ კიდევ ვესაუბრეთ. თინა ბებო ამბობს, რომ მის საძინებელში აღარ წვიმს და აღარც ქარი შემოდის. თუმცა, სათბობი შეშა ჯერ არ აქვს და ოთახებში ისევ ცივა.

„ძალიან მადლობელი ვარ, შვილო, დიდი მადლობა ყველას ამ დახმარებისთვის. ჟურნალისტებსაც და საგვარეულო კავშირსაც. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, არ ვიცი ზამთარს ცოცხალი როგორ გადავურჩებოდი. წვიმა აღარ ჩამოდის ჩემს ოთახებში, მაგრამ შეშა არ მაქვს, არც იმდენი ფული მაქვს, რომ ვიყიდო, არც ძალა მერჩის, რომ საიდანმე მოვაგროვო. **გასულ წელს გამგეობამ შეშის ფული ნამდვილად მომცა, ცოდვას ვერ ვიტყვი, მპირდებიან, რომ წელსაც მომცემენ.** ძალიან კმაყოფილი ვარ სოფლის დეპუტატისა და რწმუნებულის, ხშირად მოდიან, რაც შეუძლიათ, მეხმარებიან. მაგრამ სოციალური დახმარების აღდგენა მაინც ვერ შევძელი. შვილი რომ დამეღუპა, სააგენტომ ხელახლა გადამამოწმა. აგვისტოს თვეში ახალი პასუხი მომივიდა და ისევ უარი მივიღე, ძალიან მაღალი ქულები მოვიდა და არ ვიცი ეს რამ გამოიწვია. რა ნახეს ჩემს სახლში არ ვიცი, ახლა გამიხარდა, ჭერი რომ გაამაგრეს და გადახურეს, მაგრამ ეს ქულებს კიდევ უფრო ასწევს და რაღას აღმიდგენენ?“

ილია მარტყოფლიშვილი

# „მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს“

ჯემალ კუხალაშვილი: 1979 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. მოწყობილი აქვს 15 პერსონალური გამოფენა თბილისში, 3 მოსკოვში, აშშ, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში. მხატვარია ფილმებისა: “გამინაწილე სითბო”(1975), “სამანიშვილის დედინაცვალი” (1977); მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის სახელობის გალერეაში, მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს,დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზი გადაჭედილი იყო ადამიანებით, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ძვირფას სტუმრებს. და აი, ისინიც: სახელმწიფო პრემიის და გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, „ქართული კულტურის რაინდის“ წოდების მფლობელი, თანამედროვე მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **ჯემალ კუხალაშვილი,** მისი მეუღლე, ჩვენი თანამემამულე, არბოშიკის მინაზე გაზრდილი, არაერთი ლიტერატურული პრემიის და ჯილდოს მფლობელი, პოეტი **მარინე ცხვედიაშვილი** და მათი ვაჟები – პერსპექტიული ახალგაზრდა მხატვრები **ლაშა და გიორგი,** მოქანდაკე **კახაბერი,** დიზაინერი **ბექა კუხალაშვილები** და **ოთარ კუხალაშვილი**, რომელიც ოკეანის გადაღმა, ამერიკაში ცხოვრობს და დღევანდელ თავყრილობას ვერ ესწრება. გეგულებათ კიდევ მეორე ასეთი ოჯახი, რომელმაც ერს ხუთი საუკეთესო ვაჟი აჩუქა, რომელთა შთამომავლებიც, მომავალში, ეჭვგარეშეა, ქვეყნის ღირსეული შვილები იქნებიან პატარა **ლუკა კუხალაშვილის** თამადობით. გეგულებათ კიდევ ოჯახი, სადაც გენმა არ დაისვენა და თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე არსებულ ჯემალ კუხალაშვილის სამხატვრო სახელოსნოში თავმოყრილია ხელოვანი მამის და მისი შვილების, პოეტი მეუღლის ჯადოსნური სულიერი სამყარო, რომლის „სულის სარკმლიდან“ გადამხტარა თითოეული მათგანი. აი, ეს დიდებული ოჯახი მოიწვია სტუმრად დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციამ მისი თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივით.

ტაშის გრიალით შეეგება სტუმრებს დარბაზი.

– ამ კედლებს უამრავი ლამაზი, ემოციებითა და შთაბეჭდილებებით სავსე დღე, უამრავი შესანიშნავი გამოფენა, ძალიან ბევრი შეხვედრა და საღამო ახსოვს, მაგრამ დღევანდელი დღე მაინც გამორჩეულად განსაკუთრებულია – დღეს ჩვენი სტუმრები არიან შესანიშნავი ფერმწერი ჯემალ კუხალაშვილი და მისი მეუღლე, ჩვენი თანამემამულე და ძალიან საყვარელი პოეტი მარინე ცხვედიაშვილი. მათ შემოქმედებით წარმატებებზე, რეგალიებზე, ჯილდოებსა და ადამიანურ ღირსებებზე, შეხვედრის განმავლობაში ბევრს ვისაუბრებთ. დარწმინებული ვარ, რომ ეს შეხვედრა ლექსის, სიტყვის, სიმღერის, მხატვრობის დღესასწაულად იქცევა და მუზათა ტაძარში მუზები იბატონებენ,- ჩვეული ორატორული პათოსით თქვა ღონისძიების წამყვანმა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა **ცარო მარტიაშვილმა** და, მართლაც, ეს იყო მშვენიერი, დაუვიწყარი საღამო.

ჯემალ კუხალაშვილი ხონში დაიბადა. ძმასთან ერთად დედის ჟუჟუნა იობიძის თავდაუზოგავი შრომის და მზრუნველობის გარემოცვაში იზრდებოდა.

– „ჩემთვის ხელოვნება ხონიდან დაიწყო. თბილისში მოხდა სრულყოფასთან სიახლოვე. მე ისევ ისე მეოცნებე და გაუბოროტებელ კაცად დავრჩი. ღმერთმა ჯერ მარჯვენა დამილოცა, მერე ხუჭუჭა ანგელოზის თმები მომაოქროვებინა. „ქრისტეს ნაზარეთში შესვლა“, „ბზობის დღესასწაული“ და „გოლგოთა“ დამახატვინა. ერთ-ერთ დაუმთავრებლად მიჩნეულ სურათში, სადაც მაცხოვრის თვალები ბოლომდე დაუხატავი მეგონა, დაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ მოხდა სასწაული და სურათიდან ხმა მომესმა: „შენი თვალები მე ვარო“. ყურთასმენად ვიქეცი, ეს იყო კიდევ ერთი საჩუქარი ღვთისა. იმდენად დიდია სურათიდან გადმოსული უფლის ხმის ძალა, რომ ყველა კრიტიკოსს და ხელოვნებათმცოდნეს აღემატება! - წერს ბატონი ჯემალი თავის წიგნში „ჯემალ კუხალაშვილი“, რომლის გამოცემაც კომპანია „მაგთიმ“ დააფინანსა. წიგნი ძვირადღირებული და უნიკალურია, რადგან მასში შესულია ჯემალ კუხალაშვილის თითქმის მთელი შემოქმედება, რომელიც უმაღლესი ტექნოლოგიური ხარისხით ძვირფას ქაღალდზეა დაბეჭდილი, აქვეა მის მიერ განვლილი ცხოვრების ამსახველი ფოტოები, რომელიც ნათლად მეტყველებს მის გარემოცვაზე, იმ წრეზე. რომელშიც ბატონი ჯემალი ცხოვრობს, მუშაობს, მეგობრობს. მრავალ ცნობად და წარმატებულ ადამიანს ნახავთ ამ სურათებზე. აკი, თავადაც ამბობს:- „ჩემი პედაგოგები ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ: სერგო ქობულაძე, ოთარ იოსელიანი, დიმიტრი თაყაიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ჯანრი კაშია და სხვები“. სწორედ ამ ვარსკვლავებმა

გამოძერწეს მომავალი მხატვარი, რომელმაც 23 წლის ასაკში დასამახსოვრებელი სადიპლომო ნამუშევარი შექმნა: – „ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ნამდვილი ბედის საჩუქარი იყო. დიდმა ქართველმა რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ მე და ჩემი თანაკურსელი ნაუმ ფურმანი მიგვიწვია ქართველი კლასიკოსის – დავით კლდიაშვილის გენიალური მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ მიხედვით გადასაღებ ფილმზე, რაც ჩემთვის დიდი სკოლა იყო. ამ ფილმმა ქაიროს საერთაშორისო ფესტივალზე დაიმსახურა პრიზი მხატვრული გადაწყვეტისათვის. ელდარ შენგელაიასთან ურთიერთობა კი მეორე აკადემია იყო ჩემთვის“ - იხსენებს ბატონი ჯემალი.

სტუმრებს, დედოფლისწყაროელთა სახელით, მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი** მიესალმა: – მადლობელი ვარ, რომ ჩამობრძანდით და საშუალება მოგვეცა, გაგვეცნო თქვენი შემოქმედება, თქვენი ოჯახი და თქვენი პიროვნება, აღტაცებული ვარ! ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას თქვენნაირი შემოქმედი, თქვენნაირი მამა და ოჯახის უფროსი. ჯანმრთელობას და წარმატებას ვუსურვებ მთელს თქვენს შემოქმედებით ოჯახს.

ამ შეხვედრის გამო ემოცია ვერ დაფარა საგანმანათლებლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორმა **ნუნუ ცაკაშვილმა.** მან, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა ქალბატონ მარინე ცხვედიაშვილს თბილისში მისი და მასთან ერთად სხვა ნომინანტების დაჯილდოვების ცერემონიალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. მერე მოეფერა კუხალაშვილების დიდ ოჯახს, რომლის თითოეული წევრი სასწაულად წარმატებული და რეალიზებულია. ეს არის ოჯახი, სადაც მუზა ბატონობს და იქმნება შესანიშნავი ნიმუშები შედევრებისა, ფერწერასა თუ ქანდაკებაში, დიზაინსა თუ პოეზიაში.

- ბევრი წარმატებული ოჯახი ჰყავს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ეს ბედნიერი გამონაკლისია, გაზარდო 5 ვაჟკაცი და ასწავლო, როგორ უნდა იდგეს მყარად მიწაზე და ემსახუროს სამშობლოს სახელს და დიდებას და გაიტანო ის მსოფლიო ასპარეზზე. გმადლობთ, რომ არსებობთ და კვლავაც წარმატებებს გისურვებთ,- თქვა ქალბატონმა ნუნუმ.

სტუმრებს მოეფერა და მადლობა გადაუხადა ჩამობრძანებისათვის შპს „შირაქის“ დირექტორმა **ინგა შიოლაშვილმა:** „გინახავს კაცი, გადამხტარი სულის სარკმლიდან, ცოდვილ მოკვდავთა მარწუხებში ვერჩატეული?”- ეს მარინე ცხვედიაშვილის ლექსის სტრიქონებია, რომელიც საუკეთესოდ ხსნის შემოქმედი ადამიანის შინაგან სამყაროს. ისინი ვერ იტანენ ჩარჩოებს, თავისებურად აღიქვამენ სამყაროს, ნებისმიერ მოვლენას

**„თურმე, „კუხალი“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე „მუხას“ ერქვა საქართველოში და დღეს მეც ჩემს გაშლილ ხელებს მუხას ვამსგავსებ“.**

**ჯემალ კუხალაშვილი**

და ისე გადმოგვცემენ... ხატოვნად, მაგრამ შეულამაზებლად, ზოგჯერ ქარაგმულად... ჯემალ კუხალაშვილი სწორედ ასეთი ხელოვანია. მისი ტილოების ნახვის შემდეგ ჩნდება უამრავი კითხვის ნიშანი, დიდხანს ხარ შთაბეჭდილების ქვეშ და უამრავ საფიქრალს გიჩენს. დედოფლისწყაროელებისთვის დიდი პატივია თქვენი სტუმრობა, გვეამაყებით და გვინდა, გისურვოთ მუზა და ისეთი თაყვანისმცემლები, რომლებიც თქვენს შემოქმედებას სათანადოდ დააფასებენ, დიდხანს გაჰყვებათ ამაღლებული განწყობა და სულიერ საზრდოს შეუვსებს“.

ეს იშვიათი მოვლენაა, როცა წარმატებული მხატვარი, წარმატებული პოეტიცაა. ჯემალ კუხალაშვილი კი, არც მეტი, არც ნაკლები, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატია. მას ეს პრემია მიენიჭა პოეტური ნიგნისთვის „მე არა“.

- თითქმის 30 წლის მანძილზე ვწერდი ლექსებს ჩემთვის და გამოქვეყნებაზე არც მიფიქრია. როდესაც მარინე ჩვენს ოჯახში შემოვიდა, ნახა ეს ლექსები და კატეგორიულად მოითხოვა მისი წიგნად გამოცემა. ამ წიგნის ერთი პირველი ეგზემპლართაგანი მივართვი პროფესორ ნოდარ ტაბიძეს, დიდი გალაკტიონის ძმისშვილსა და მემკვიდრეს,რომელიც, იმხანად, შეუძლოდ იყო და საავადმყოფოში იწვა. წიგნის გაცნობისთანავე, საავადმყოფოდან გამოსულიც არ იყო, როცა დააყენა საკითხი ჩემთვის გალაკტიონ ტაბიძის პრემიის მონიჭების თაობაზე, რაც რეალობად იქცა კიდეც, – სამართლიანი სიამაყით გაიხსენა ეს ფაქტი ბატონმა ჯემალ კუხალაშვილმა. აქვე გეტყვით, რომ ბატონი ჯემალი ლექსებთან ერთად მშვენიერი მოთხრობებისა და ესეების ავტორიცაა.

მე ვერ გავკადნიერდები და ჩემი დილეტანტური შესაძლებლობის ფარგლებში ვერ გავარჩევ, ვერ შევაფასებ და ვერ დავახასიათებ ბატონი ჯემალის ნახატებს, ხატვის სტილსა თუ კონცეფციებს, სამაგიეროდ გეტყვით, რომ თბილისში 26 სექტემბერს გაიხსნა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომლის საგამოფენო დარბაზის ფართობი 7.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მუზეუმის დამფუძნებელია გია ჯოხთაბერიძე, რომელიც მეუღლესთან, მანანა შევარდნაძესთან ერთად, ოცი წელი აგროვებდა ქართული თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს. აქ ეტაპობრივად ოთხმოცამდე ავტორის 3.500 ნამუშევარი იქნება გამოფენილი. საგამოფენო დარბაზებში საუკეთესო ნამუშევრებით არიან წარმოდგენილი ქეთევან მაღლაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, მიხეილ ხვიტია, დიმიტრი ერისთავი, თემურ ჯაფარიძე, დუდა გაბაშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, სერგო

ფარაჯანივი და სხვები. მათ მომდევნო თაობა მოსდევს, გოგი ჩაგელიშვილის, ვლადიმერ კანდელაკის, ოთარ ჩხარტიშვილის, გია გუგუშვილის და სხვათა სახით. მათ შორის გახლავთ სწორედ ჯემალ კუხალაშვილი, რომელსაც სრულად აქვს დათმობილი მესამე სართული. იდგე ასეთი მხატვრების გვერდით და ლიდერობდე მათში, ძალიან ბევრს ნიშნავს. მუზეუმის გახსნით უამრავ დამთვალიერებელს, უცხოელსაც და ქართველსაც, მიეცა საშუალება, ერთ სივრცეში გაეცნოს და მიიღოს დიდი სიამოვნება, მითუმეტეს, რომ მუზეუმის დათვალიერებისთვის ბილეთის ღირებულება საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია. მისი ღირებულება 15 ლარია, შეღავათებით სარგებლობენ სტუდენტები, სოციალურად დაუცველები, პენსიონრები და მოსწავლეები, რომლებიც 50 % - იანი ფასდაკლებით მხოლოდ 7.50 ლარს იხდიან.

შეხვედრას ფონად გასდევდა მარინე ცხვედიაშვილის ლექსები, რომელსაც ჩვეული ოსტატობით კითხულობდა წამყვანი ცარო მარტიაშვილი. დარბაზის თხოვნით კი რამდენიმე საყვარელი ლექსი თავად ქალბატონმა მარინემაც წაიკითხა როგორც თავისი, ისე მეუღლის შემოქმედებიდან.

- ამბობენ, სამშობლოს კვამლიც კი სასიამოვნოაო და მეც დიდ სიხარულს მანიჭებს დედოფლისწყაროში ჩამოსვლა. დიდი მადლობა, ჩვენი მოწვევისათვის, მოფერებისათვის, ეს დიდი სტიმულია. იოლი არ არის ასეთ ხალხთან, კადნიერებად ნუ ჩამითვლით და გენიოსებთან თანაცხოვრება, მაგრამ ხელოვნება გვაერთიანებს და გვაძლიერებს, - თქვა ქალბატონმა მარინემ და ბევრი საინტერსო და სახალისო ამბავი მოუყვა მსმენელს ოჯახის წევრების „უცნაურობების“, მათი გატაცებებისა და წარმატებების შესახებ.

დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის დირექტორმა **ნონა ჯიბლაშვილმა** მადლობა გადაუხადა სტუმრებს ჩამობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ მან ამ სამსახურში მოსვლისთანავე მიზნად დაისახა, წარჩინებული და წარმატებული ადამიანები სიცოცხლეშივე დაეფასებინათ და ეს ტრადიციად დანერგა. — „ამის მაგალითი კი დღევანდელი დღეა, როდესაც ვეფერებით ისეთ დიდ მხატვარს, როგორიც ჯემალ კუხალაშვილია და საყვარელ პოეტს,

*(გაგრძელება გვ.8)*

## გზავნილები

ხელოვნება შემოქმედის სულს, ხასიათს და ფსიქიკას ხსნის. ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედება ღრმა და სიცოცხლისუნარიანია. თანამედროვე ქართული მხატვრობის გამორჩეული წარმომადგენელია, რომლისთვისაც უპირატესი კომპოზიცია, ფერი და ემოციაა.

სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, სწორედ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეზე შეხვედრას უწყობს თანამედროვე ქართული მხატვრობის შესანიშნავ წარმომადგენელს ჯემალ კუხალაშვილს და მის მეუღლეს, პოეტ მარინე ცხვედიაშვილს, რომელსაც მიმდინარე წელს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიენიჭა. ვულოცავ ჩვენს თანამემამულეს ამ მაღალ ჯილდოს, რომორიც ერთ ღირსეულ პოეტს და ადამიანს. გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე დავესწრო ამ მშვენიერ ღონისძიებას.

ირაკლი შიოლაშვილი.
საქართველოს პარლამენტის წევრი
დედოფლისწყაროსა და სიღნაღის
მუნიციპალიტეტებიდან.

● ——— ●

*ეს იმ ადამიანის გზავნილია, რომელსაც ბატონი ჯემალის ნამუშევრები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში აქვს ნანახი.*

- ახლოს ვიცნობ ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედებას. როდესაც შევიტყე, რომ საპატიო სტუმრის სტატუსით, დედოფლისწყაროში ჯემალთან შეხვედრაზე ვიყავი მიწვეული, კიდევ ერთხელ წავედი სახვითი ხელოვნების მუზეუმში და გულდასმით დავათვალიერე მისი ფერწერული ტილოები, რომელთაც მსოფლიოს არაერთი პრესტიჟული საგამოფენო დარბაზი აქვს მოვლილი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხელოვნება უკვდავია, ხელოვნება ადამიანში დაფარული ძლიერების გამოვლინებაა. ჯემალის სიძლიერე მის ნამუშევრებში ძგერს, როგორც ჰანგი მშვენიერი.

ვწუხვარ, რომ, ჩეხეთში დაგეგმილი კომცერტის გამო, ვერ ვესწრები ამ ღონისძიებას, მაგრამ ჩემი გული თქვენთან არის.

გოგი ჭიჭინაძე
თბილისის, პოლონეთისა და ინგლისის
სამეფო თეატრის დირიჟორი.

# „აქ ჩვენი პატარა საქართველოა“



*ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში 200 მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გავიდა საზღვრებს გარეთ. ზოგი ომს გაექცა, ზოგი სტიქიას, ზოგიც ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის დევნას, თუმცა, უმეტესობა ამას ეკონომიკური გაჭირვების გამო აკეთებს. დღეს ჩვენ გიამბობთ ჩვენს თანამოქალაქეზე, რომელიც 13 წელია, საბერძნეთის ემიგრანტია და წასვლამდე თავისი კვალი დატოვა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. აქ ყოფნის შემთხვევაში შეეძლო უფრო ღრმა და შინაარსიანი კვალის დატოვება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მასაც ემიგრაციაში მოუწია ცხოვრების გზის გაგრძელება. ჩვენი სტუმარია ყველა ჩვენთაგანისთვის კარგად ნაცნობი, ძალიან თბილი, პოზიტიური და მომხიბვლელი ქალბატონი –* ცირა წიკლაური.

მინი ბიოგრაფია-1966 წელს დავიბადე და გავიზარდე ჩემს საყვარელ დედოფლისწყაროში, მყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი, მეექვსეს ველოდებით.. ჩემს შვილიშვილებს ჯერ არ მოვფერებივარ და სკაიპით, მესენჯერის მეშვეობით ვეფერები, ეს ყველაზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, შვილები ხომ უჩემოდ გაიზარდნენ და ახლა შვილიშვილებიც ასე იზრდებიან, მათი სუნი არ ვიცი, მათ არ შევხებივარ, ერთხელ არ მიკოცნია...მხოლოდ ეკრანს მიღმა ვუგზავნით ერთმანეთს კოცნებს, ვირტუალური მოფერებით სურვილს და სიყვარულს ვერ იკმაყოფილებ, ძალიან ძნელია...უფროსი გოგონა -თეონა აქ მყავს თავისი ოჯახით და ესენი ცოტა მიმსუბუქებენ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვერც მათ ვხვდები. სალომე და აჩი თბილისში ცხოვრობენ, კარგი ოჯახები აქვთ, სიძეები და რძალი კარგები მყვანან, დედის გულს კი მეტი რა უხარია...

მოგესალმებით დიდი მონატრებით ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, ამხანაგებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მეზობლებს და ყველა იმ ხალხს, ვისაც ვახსოვარ და ვუყვარვარ. მეამაყება იმის თქმა, რომ ჩემს რაიონს 20 წლის განმავლობაში (1985-2005წწ.) გვერდით ვედექი კულტურული ღონისძიებების გალამაზებაში.

1985-89 წლებში ვმუშაობდი კულტურის სახლში სამეჯლისო ცეკვების წრის ხელმძღვანელად, ქალბატონი ნელი გობეჯიშვილის გვერდზე დგომით და ხელშეწყობით ჩვენი ანსამბლი ყველა ღონისძიებაზე წარმატებით გამოდიოდა. 1990-2005 წლის ჩათვლით ვმუშაობდი მოსწავლეახალგაზრდობის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში და ანსამბლ „შირაქში“ ასისტენტად. პარალელურად გახსნილი მქონდა ტანვარჯიშის წრეც, სადაც ქალებიც დადიოდნენ, ზოგი ჭარბი წონის პრობლემით, ზოგი ჯანმრთელობის და ზოგიც გაკაჟების მსურველნი, გვქონდა ბავშვებისთვის „ბასტი-ბუბუს“ წრეც, ძალიან ტკბილად მახსენდება ეგ დრო, ერთ მუშტად შეკრული გუნდი გვქონდა და ერთმანეთზე ვზრუნავდით..

**-ცირა, შენ აქ აქტიურად იყავი ჩაბმული ჩვენი რაიონის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში, რამ გიბიძგა ამ გადაწყვეტილებისკენ?**

-ბავშვები რომ წამოიზარდნენ, დადგა გაჭირვების ჟამი ჩემი ოჯახისთვისაც, შემოსავალი აღარ გვყოფნიდა, თბილისში სწავლას და ბინის ქირას დიდი თანხები სჭირდებოდა და ბევრი ფიქრის მერე, მეც გადავწყვიტე, დავდგომოდი ევროპის გზას ჩემი შვილების საკეთილდღეოდ. ჩემი დაიკო მაკა, რომელიც უკვე საბერძნეთში იყო და იცოდა ჩვენი გაჭირვების შესახებ,თავისი ხუთი შვილის ლუკმას უნაწილებდა ჩემს შვილებს და ფულს ხშირად გვიგზავნიდა. 2005 წლის ოქტომბერში მაკას ხელშეწყობით ჩამოვედი საბერძნეთში სამი წლით და კი შემოვრჩი ცამეტი წელი...

**– ვისაც უცხოეთში ყოფნა არ გამოუცდია, ბევრს ჰგონია, რომ იქ უკეთესია, თუმცა, არავინ იცის იქ მყოფებზე უკეთ, რა ჯაფა და ფსიქოლოგიური წნეხი ადგათ მათ, როგორც იტყვიან „იქ სჯობს, სადაც არა ხარ“, რას გვეტყვი ამაზე?**

– უკეთესია, მხოლოდ ფინანსური კუთხით, კარგია, სამუშაო რომ გვაქვს და მშვიდად ხარ, როცა იცი, რომ შენ შვილებს არაფერი გაუჭირდებათ, მაგრამ შვილების გარეშე ცხოვრება გაუსაძლისია, შენი დარდი და მწუხარება აქ არავის აინტერესებს. ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, ჩემმა დამ თავისი სამუშაო დამითმო, სანამ მივეჩვეოდი, ისიც ჩემთან იყო, მასწავლიდა ენას, საჭმელებს, საქმეს. ერთხელაც ჩემი ქალბატონი ეკითხება ჩემს დას, სულ რატომ ოხრავს, არ მოვწონვარო? მერე მივხვდი, რომ აქ ჩვენი ნოსტალგია და წუხილი არავის აინტერესებს და ნელ-ნელა შევეგუე, ერთი წელი ძალიან გამიჭირდა. 2005 წლის ზაფხულში დედა და 23 წლის ძმისშვილი გარდამეცვალნენ, ყოველ ღამე ვტიროდი, ლევანი ჩემი პირველი სიხარული იყო, ვერ აღვწერ და არავის ვუსურვებ, ასეთი ტკივილის გამოცდას, მითუმეტეს, ოჯახს მოწყვეტილებისას. მაგრამ, აქ ყოფნას თავისი დადებითი მხარეებიც

ახლავს, რათქმაუნდა, მაგალითად, როცა იცი, რომ შენ შვილებს გული აღარაფერზე სწყდებათ, სწავლა რომ მათთვის ხელმისაწვდომი ხდება, ნელ-ნელა ოქროსაც გამოიხსნი ლომბარდიდან და სიღარიბიდან ამოსვლას იწყებ...იშვიათია, აქ ვინმემ შენი ტკივილი გაგიგოს, უნდა სულ უღიმო ყველას, გინდა თუ არ გინდა ეს. ისე, რაც მართალია, ბედი მწყალობს, სულ კარგი ოჯახი მხვდება, თბილი ხალხი, ადვილად ვეგუები ყველას. ზოგი ვერ უძლებს და ერთ-ორ თვეში უკან ბრუნდებიან ხოლმე. როდესაც გადაწყვეტს ადამიანი ემიგრანტობას, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მზად, რადგან აქ შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენი მე გვერდზე უნდა გადადო და დილიდან საღამომდე სხვისი მოთხოვნების და პრეტენზიების ქვეშ იცხოვრო, ახლა მკითხველმა თავად გამოიტანოს დასკვნა და უპასუხოს კითხვას – სჯობია თუ არა იქ, სადაც არ ხარ? მაგრამ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოსცდის ადამიანი ამ ყველაფერს, მანამდე ვერ გააცნობიერებს ჩვენი ცხოვრების ტვირთის სიმძიმეს.

**– ცირა, მოგვიყევი, როგორია ერთი ემიგრანტი ქალის ერთი დღე?**

– მეც, როგორც სხვა დანარჩენი გოგოები, დილიდან საღამომდე ვმუშაობ. ბოლო სამი წელი ორ ოჯახში ვიყავი. ძირითადად მოხუცებს ვუვლი. დღის მეორე ნახევარში, ყოველდღე, სხვა ოჯახში მივდიოდი, საღამოს კი ისევს ვბრუნდებოდი მოხუცებთან, 17 საათი ფეხზე ვიდექი, სულ სირბილით მიწევდა აქეთ-იქეთ წასვლა, ერთხელ ავტობუსისთვის უნდა მიმესწრო და დავეცი, ხელი სამ ადგილას გადამიტყდა, ხალხმა გამოიძახა სასწრაფო, ორი თვე მეორე სამუშაოზე ვეღარ დავდიოდი, მაგრამ მოხუცებს მაინც ვუვლიდი და ვბანდი ცალი ხელით, ღამე ტკივილები არ მაძინებდა, საშინელი დღეები გამოვიარე, მაგრამ აქ ასეთი ამბები ხშირად ხდება ხოლმე და ეს არის ჩვენი ქალების ხვედრი, სამწუხაროდ... ბევრ სიმწარეს ისე ვითმენთ და ვიტანთ, ოჯახს არც ვატყობინებთ, რომ არ ინერვიულონ... სექტემბრიდან მხოლოდ მოხუცებთან ვარ, ეტყობა, წლებს თავისი მიაქვს, ის ჯანმრთელობა და ენერგია აღარ მაქვს...

**-ცირა, როგორ გამოიყურება მაინდან ჩვენი ქვეყანა?**

-ოთხი წლის წინ ვიყავი ჩამოსული საქართველოში 9 წლის ინტერვალის მერე, ბიჭის ქორწილისთვის ჩამოვედი და ორი თვე დავრჩი, ბევრი რამ დამხვდა ინფრასტრუქტურულად წინ წასული, მაგრამ ხალხის გაჭირვებაზე სულ მეტი რებოდა, როდის უნდა დაეწიოს საქართველო თუნდაც ამ საბერძნეთს. აქ ისეთი ლამაზი და კომფორტული სოფლები აქვთ, ვერ მიხვდები, რომ სოფელში ხარ. ყველას ისეთი ლამაზი სახლი აქვს, ლამაზი ეზოებით, ღობეები, აივნები, ყვავილები...ბევრჯერ მიფიქრია, ნუთუ არავის უჭირს აქ? სოფლად თუ ქალაქად აქაური ღარიბები მანდაურ მდიდრებს გვანან...ამ ყველაფერზე გული ძალიან მტკივა ხოლმე...

**-მოსახლეობას შორის თუ გაავლებ პარალელს?**

-საერთოდ თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ შედარებაც არ შეიძლება ქართველებთან. ჩვენ ჩვენ ვართ, ქართველებისნაირი ერი მსოფლიოში არ მეგულება, სტუმრისთვის სულს ამოვიღებთ, ოღონდ მათ ვასიამოვნოთ, გინდაც მეორე დღეს მშივრები დავრჩეთ, ათასნაირ საჭმელს გავამზადებთ, თავს ვაწონებთ, ააქ? დიდად არ იწუხებენ თავებს, ორი, დიდი-დიდი სამნაირი და მორჩა. ქორწილში ვიყავი და ზუსტად ორი თავი საჭმელი იყო, ხაჭაპური და მაკარონი ან კარტოფილი ხორცით, მშიერი წამოვედი... იქნებ ამიტომაც აქვთ ბევრი? გასვენებაში სუფრებს არ ამზადებენ, მხოლოდ ყავა და პეჩენია და თითო ჭიქა არაყი... აქ 1-2 ჭიქაზე შეუძლიათ მთელი საღამო იქეიფონ, ჩვენთან რაც ქორწილ-ქელეხებში სასმელი ისმება, აქ მთელი ცხოვრება ჰყოფნით... მე აქ მთვრალი ქუჩაში და საერთოდაც, ჯერ არ მინახავს... ყველა მუშაობს, ფუსფუსებენ, არ თაკილობენ, ოღონდაც თავი შეინახონ. ახალგაზრდები ან სწავლობენ ან მუშაობენ, რა ვიცი აბა, მე მანდ ჩემი დედამთილისთვის ძლივს ვიშოვნე მომვლელი, უჭირთ, მაგრამ, თაკილობენ, აი ეს კი ნამდვილად არ მესმის...

**– ცირა, მგონია, რომ ერთი საქართველო მანდ არის, ჩვენი დიასპორა, როგორ ახერხებთ ერთმანეთთან ურთიერთობას, როგორ ეხმარებით ერთანეთს?**

– რათქმაუნდა, „აქ საქართველო ჩვენც გვაქვს, პატარა“. არსებობს ათენის ქართული სახლი და განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“, სადაც დიდები თუ პატარები ეუფლებიან ცეკვას, სიმღერას, ხატვას, უცხო ენებს, არის ქართული საკვირაო სკოლები და ბევრი სხვა რამ. პირველად რომ ვესტუმრე ცენტრ „კავკასიას“, ცეკვის გაკვეთილი ტარდებოდა დარბაზში და დოლ-გარმონის ხმა რომ გავიგე, მუხლები ამიკანკალდა, საოცარი ემოცია მქონდა, ეს იყო 12 წლის წინ... აქაც შევიძინე მეგობრები, თვეში ერთხელ დავდივართ ექსკურსია-მოლოცვებზე ქალბატონ ნინია ახვლედიანის ხელმძღვანელობით. გვიხარია ერთმანეთის ნახვა და მოფერება, ვცეკვავთ, ვმღერით და სუფრებსაც ვშლით ქართულს. საღამოს კი ისევ ვუბრუნდებით ჩვენს სამსახურებს ემოციებით დატვირთულნი და ეს ემოცია მომავალ გამოსასვლელ დღემდე მიგვყვება... ვლოცულობთ და სანთელს ვუნთებთ ჩვენს გარდაცვლილებს, ჩართულები ვართ „სიკეთის ქალაქში“ და წვლილი შეგვაქვს გაჭირვებული ხალხის კეთილდღეობისათვის, ვცდილობთ აქაური „პატარა საქართველოდან“ ჩვენი გაჭირვებული თანამემამულეებისადმი თანაგრძნობა და სიყვარული გამოვხატოთ. ბოლოს, მინდა მადლიერება გამოვხატო ბერძენი ხალხის მიმართ, რომელთა ნდობითა და პატივისცემით ჩვენ დღეს აქ ვართ და ჩვენს ოჯახებს და ქვეყანას გვერდში ვუდგავართ. ჩვენ ამათ გაგვატანინეს თავები და ფეხზე დაგვაყენებინეს ოჯახები, შეუძლებელია, უმადური იყო და ეს სიკეთე ვერ დაინახო.

გეფერებით ყველას, ჩემს საყვარელ დედოფლისწყაროელებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმტკიცეს და მალე გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას!

**ათენი, 2018 წელი, 16 ნოემბერი, ცირა წიკლაური**

**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

# „მთავარია, გქონდეს მონდომება“

***რედაქციის კარი ორმა ახალგაზრდამ - დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის წარჩინებულმა მოსწავლეებმა, ალეკო კოტაშვილმა და ზაქარია ჭუაძემ შემოაღო. საოცრად კულტურული, კარგად მოსაუბრე, მშვიდი და საკუთარ თავში დარწმუნებული ახალგაზრდები გაზეთ „შირაქს“ იმ პროექტზე ესაუბრნენ, რომელსაც ამერიკის საელჩო სკოლის მოსწავლეებისთვის უკვე 3 ნოემბრიდან ატარებს და რომელიც 7 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. გარდა ამისა, საუბარი შეეხო მათ წარმატებებს, იმ პრინციპებსა თუ შესაძლებლობებს, რაც თითოეულ მოსწავლეს წარჩინებისთვის უნდა ჰქონდეს.***

**— ალეკო, ზაქარია, რომ მოგვიყვეთ, რომელ პროექტში ხართ ჩართულები? როგორ შეგარჩიეს და რა იქნება პროექტის სამომავლო გეგმები?**

— ეს არის პროგრამა „იდებატე – კანონის უზენაესობა“, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ამ შემთხვევაში კი თელავში ტარდება, სადაც კახეთის მასშტაბით თავიანთი სკოლებიდან აარჩიეს 16 ბავშვი. რეგისტრაციის ბოლო ვადა 30 ოქტომბრამდე იყო, ბოლო დღეს დავრეგისტრირდით, მაგრამ მაინც შეგვარჩიეს პროექტის ავტორებმა. ლექციის პირველი ნახევარი ეხება ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე საუბარს, ხოლო მეორე ნახევარი კი დებატების რაობას და დებატების წარმართვის ფორმას. სამომავლოდ, 16 მონაწილიდან გაკეთდება რვა ჯგუფი, ორ-ორი მონაწილით, ერთმანეთში ვიდებატებთ და ამ დებატებიდან შეარჩევენ ბოლოს გამარჯვებულს. დაზუსტებული ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ამის შემდეგ რეგიონალური, ქვეყნის მასშტაბითაც იქნება თბილისში შეხვედრა. მიგვაჩნია, რომ ასეთი აქტივობები მომავალში სასარგებლო იქნება ჩვენთვის, რადგან გავეცნობით როგორც დებატების წარმართვის ფორმას, ასევე – ადამიანის უფლებებსაც.

**— თქვენ ახლახანს გადმოგეცათ ლეპტოპები, როგორც წარჩინებულ მოსწავლეებს. ელოდებოდით თუ არა ამ საჩუქარს და რა განცდა დაგეუფლათ მიღების დროს?**

ალეკო კოტაშვილი: სახელმწიფო ლეპტოპებს ყველა წარჩინებულ მოსწავლეს ურიგებს, რომელიც მეცხრე კლასამდე დაამთავრებს სკოლას 10 ქულაზე. ეს არის ერთ-ერთი მატერიაულური საჩუქარი მოსწავლეებისთვის, ერთგვარი წახალისების ფორმა, რომ მოსწავლეებმა შემდგომში უფრო კარგად, მონდომებით და მოტივირებულად გააგრძელონ სწავლა. მე მოველოდი ამ საჩუქარს, რადგან მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასში ათ ქულაზე ვსწავლობდი და ვიცოდი, რომ ეს კომპიუტერი იყო სწორედ წარჩინებული მოსწავლეებისთვის. ძალიან გამიხარდა, ჩემთვის ეს იყო მოტივაციაც და ამიტომ ახლა უფრო ბეჯითად გავაგრძელებ სწავლას, შემდგომში ოქროს მედალიც რომ ავიღო.

ზაქარია ჭუაძე: ვიცოდი და მოველოდი, რომ ეს ლეპტოპი გადმოგვეცემოდა. თუმცა, მაინც გამიხარდა და დიდი ემოცია იყო, როცა გადმოგვცეს. შრომა დაგვიფასდა და წახალისების მხრივ მოტივაცია მოგვეცა, უკეთ რომ გავაგრძელოთ სწავლა მომავალშიც.

**— როგორ ახერხებთ, რომ იყოთ წარმატებული, კარგი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები?**

ალეკო: ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება ძალიან დიდი შრომისმოყვარეობა. თუ შენ არ იქნები კარგად განწყობილი სწავლის მიმართ, ვერც მიაღწევ შენს დასახულ მიზანს. შრომისმოყვარეობასთან ერთად ასევე გჭირდება გონებაც. არ უნდა მოიექცე ისე, რომ რომელიმე საგანი მეორეხარისხოვნად ჩათვალო. ყველა საგანი სკოლაში პირველხარისხოვანზე უნდა დააყენო, რადგან სკოლა, როგორც ვიცით, არის ზოგადი განათლების მიღების ერთ-ერთი შანსი, ამიტომ ყველაფრის მიმართ გულმოდგინედ უნდა იყო განწყობილი.

ზაქარია: ჩემი აზრით, თავდაპირველად საჭიროა გქონდეს მონდომება. უნდა ჩავწვდეთ სწავლის არსს, რაში გამოგვადგება შემდგომში სწავლა. თუ ამას არ გავიაზრებთ და არ გავითავისებთ, ალბათ არც ვისწავლით, იმიტომ, რომ, უბრალოდ ვერ მივხვდებით რაში შეიძლება დაგვჭირდეს კონკრეტული საგნის ან კონკრეტული ინფორმაციის ცოდნა. ასევე, საჭიროა, ვიყოთ შრომისმოყვარეები, გვქონდეს მოთმინების უნარი. ხშირად არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ვიღლებით სწავლის დროს, ვერ ვასწრებთ, სხვა რამით ვართ დატვირთული, მაგრამ მაინც უნდა გვქონდეს შრომისმოყვარეობა და ის უნარი, რომ დაჯდე და იმეცადინო.

**— რამდენად გაქვთ სრულყოფილი განათლების მიღების შესაძლებლობა და თუ თვლით, რომ არ გაქვთ, რას ისურვებდით მის მისაღებად?**

ალეკო: ჩვენს შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ჩვენი სკოლა ყველანაირად ხელს გვიწყობს უკეთესად სწავლაში. გვეხმარება, რომ ყველა საგანს გულმოდგინებით მოვეკიდოთ, ყველაფერი ვისწავლოთ მაღალ დონეზე. ამისთვის ძალიან კარგი გარემოა შექმნილი. მასწავლებლებიც ძალიან კარგად გვიხსნიან, გვერდით გვიდგანან და ა.შ.

ზაქარია: მე მიმაჩნია, რომ სკოლა ყველა ადამიანის ცხოვრებაში აუცილებელია, რადგან სკოლიდან ვსწავლობთ ჩვენ ზოგადად ურთიერთობებს, სკოლიდან ვსწავლობთ საზოგადოებასთან ურთიერთობას. სკოლაში გვყავს საკმაოდ კარგი მასწავლებლები, პირიქით, შეიძლება მინუსი არც ჰქონდეთ, რადგან მაქსიმალურად კარგად გვიხსნიან, მაქსიმალურად ცდილობენ, ჩვენამდე მოიტანონ სათქმელი და ამასთან ერთად, აღგვზარდონ კიდეც. ისინი გვეხმარებიან, რომ კი არ ვისწავლოთ კონკრეტული რაღაც და კი არ დავიზეპიროთ, არამედ ზოგადად მიგვითითონ სწავლა როგორ გამოგვადგება და რა მიმართულებით დაგვჭირდება. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სკოლა ხშირად გვაძლევს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის საშუალებას, საიდანაც უფრო მეტ განათლებას ვიღებთ და უფრო მეტად ვვითარდებით.

**— თქვენი აზრით, რა არის ის შესაძლებლობები, რაც ნებისმიერ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს?**

ალეკო: ჩვენს ქვეყანაში მოსწავლემ რომ მიიღოს კარგი განათლება, უნდა იყოს შრომისმოყვარე, არ უნდა ეზარებოდეს ესა თუ ის საქმე, რასაც ის დაისახავს სწავლის მიმართ, არ უნდა თქვას ის რაც ზაქარიამ აღნიშნა, რომ დღეს მოდი არ ვისწავლი, სხვა საქმეები მაქვს, ვერ ვასწრებ, ან ხვალ სკოლაში არ წავალ, მასწავავლებელი არ მკითხავს და ა.შ. აი ასეთ პრობლემებს თუ აღმოფხვრის და თავისთავაზე იმუშავებს, მოსწავლეს, რა თქმა უნდა, გამოუვა, რომ წარჩინებულად დაამთავროს სკოლა.

ზაქარია: ჩემი აზრით სკოლაში სასწავლად და ზოგადი განათლების მისაღებად, ადამიანს დაბადებიდან უნარ-ჩვევები არ აქვს. ყველა ადამიანი შემდეგში ვითარდება, ყველა ცდილობს, რომ თავისი გონება განავითაროს. თუ რა მხრივ განავითარებს, ეს ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული. ნებისმიერს შეუძლია, ზოგადი განათლება მიიღოს და წარჩინებული მოსწავლეც იყოს, თუ არ დაიზარებს. განსაკუთრებული რაიმე უნარი არ სჭირდება. ყველა სწავლობს, თუ მოინდომებს.

**— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? რით ავსებთ თქვენს თავისუფალ გრაფიკს?**

ალეკო: თავისუფალ დროს, როდესაც არაფერი არ მაქვს ისეთი გასაკეთებელი და მნიშვნელოვანი, ვუყურებ ფილმებს ინგლისურ ენაზე, რადგან ძალიან მიყვარს ინგლისური ენა და მინდა, რომ გავიღრმავო ჩემი ინგლისურის ცოდნა. მინდა, ახლავე შევიქმნა საფუძველი იმისა, რომ შემდგომში ამ მხრივ, პროფესიულ დონეზე განვვითარდე. ასევე ვკითხულობ წიგნებსაც, რადგან მიზიდავს მხატვრული ლიტერატურა. როგორც ვიცით, სწორედ მხატვრული ლიტერატურის ხარჯზე ვითარდება ადამიანი, თავის გონებაში ერთგვარად გადახარშავს იმ ცოდნას, რასაც მხატვრული ლიტერატურიდან იღებს. ასევე დაკავებული ვარ თავისუფალი ჭიდაობით. ზოგადად, მიმაჩნია, რომ სპორტი ადამიანის ცხოვრებაში ძლიან მნიშვნელოვანი რამაა. ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების თვალსაზრისით ყველაზე მაღალ დონეზე სპორტი დგას. არის სხვადასხვა ნიუანსები, კვების რეჟიმი და ასე შემდეგ, მაგრამ მაინც სპორტი ყველაზე მაღალ დონეზე დგას იერარქიულად. ვფიქრობ, რომ ალკოჰოლისა და სიგარეტის ნაცვლად, ადამიანის ცხოვრებაში აუცილებლად უნდა იყოს სპორტი, რასაც დღევანდელი თანამედროვე თაობა ვერ იზიარებს და იაზრებს.

ზაქარია: სპორტი არ მიზიდავს დიდად, რა თქმა უნდა მეგობრები ხშირად ვთამაშობთ ხოლმე, მაგრამ არსად არ დავდივარ, პროფესიული მომზადების თვალსაზრისით. თუმცა დავდივარ ცეკვაზე, და მივიჩნევ, რომ ფიზიკურ აღზრდაში ცეკვაც მაქსიმალურად მეხმარება. მიყვარს ცეკვა და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ დიდ დროს ვატარებ ცეკვაზე. დანარჩენ თავისუფალ დროს ფილმებს ვუყურებ, ვუსმენ მუსიკას, წიგნებს ვკითულობ და ხანდახან კომპიუტერული თამაშებითაც ვკავდები.

**— რადგან წიგნების თემას შევეხეთ, თქვენი აზრით, რამდენად ჩაანაცვლა კომპიუტერმა წიგნი და რამდენად აქტუალურია თქვენთვის ეს საკითხი? როგორ ფიქრობთ, წიგნი ისეთივე აქტუალური დარჩა, თუ კომპიუტერმა მაინც თავისი გავლენა იქონია?**

ალეკო: თუ ჩვენ დღევანდელ თანამედროვე სამყაროს გადავხედავთ, კომპიუტერი და ინტერნეტი არის ადამიანისთვის პირველ დონეზე, რადგან აქ შეგიძლია ნებისმიერი ინფორმაცია მოიძიო. თუმცა, ჩემი აზრით, მხატვრული ლიტერატურა და წიგნები, კომპიუტერს ნამდვილად არ ჩამორჩება და არც ჩამოშორდება, რადგან ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ისეთი ნაწარმოები, ეს იქნება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, რაც დროს აუცილებლად გაუძლებს. მხატვრული ლიტერატურა ჩემთვის მაღალ დონეზე დგას, მაგრამ მაინც, თანამედროვე სამყაროში, კომპიუტერით და ინტერნეტით უფრო მარტივად შეგიძლია მოიძიო ის ინფორმაცია, რაც შენ გსურს.

ზაქარია: მიმაჩნია, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი დღევანდელობაში აუცილებელია. ინტერნეტიდან შეგვიძლია მივიღოთ განათლება, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა წიგნსაც ყოველთის ექნება დიდი როლი, რომელსაც არასდროს არ დაკარგავს. მაგალითად, არსებობს წიგნები, რომელზეც გადაღებულია ფილმები. შეგვიძლია ვუყუროთ ფილმს, ნაკლები დრო დაგვეხარჯება, მაგრამ ჩვენ როდესაც წიგნს ვკითხულობთ, სულ სხვანაირი განცდა გვეუფლება, სულ სხვანაირად აღვიქვამთ და თან ხშირად რეჟისორები ცვლიან კიდეც სიუჟეტს. კი არის კომპიუტერი მნიშვნელოვანი, გართობისთვისაც შეგვიძლია დავიტოვოთ დრო, მაგრამ მთელი ცხოვრება არ უნდა მივუძღვნათ კომპიუტერს და აუცილებლად უნდა დავკავდეთ მხატვრული ლიტერატურის კითხვითაც.

**— რას ურჩევთ თქვენს თანატოლებს, რომლებსაც სწავლისთვის მოტივაცია სჭირდებათ და ეს არ აქვთ კარგად გააზრებული?**

ალეკო: ჩემს თანატოლებს ვურჩევდი, რომ არ იყვნენ ზარმაცები, იყვნენ შრომისმოყვარეები, უყვარდეთ სწავლა. ისინი გაიზრდებიან და მიხვდებიან, თავის დროზე რომ არ ისწავლეს, გააანალიზებენ, რომ სწავლით რაღაცის მიღწევა შესაძლებელია და მიხვდებიან, თუ რამდენ რამეში გეხმარება სწავლა. ჯერ პატარები არიან, გარდატეხის ასაკში, ამას ჯერ ისე კარგად ვერ იაზრებენ და ჰგონიათ, რომ, რადგან ახლა არ ისწავლიან, შემდგომში აბიტურიენტობის დროს მოემზადებიან და აინაზღაურებენ ყველაფერს, მაგრამ თუ შრომისმოყვარეობა არ გაქვს, აბიტურიენტობის ასაკშიც ვერ აინაზღაურებ დაკარგულს. იკითხონ მხატვრული ლიტერატურა, ნახონ საგანმანათლებლო ფილმები და ჩამოუყალიბდეთ აზროვნება, ანალიზის უნარი. სწავლა მათთვის მომავალში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. არ გაიფუჭონ საკუთარი ცხოვრება ზარმაცობით.

ზაქარია: დღეს ვისაც აკლია მოტივაცია და ცოტა ზარმაცობს, მინდა, ვუთხრა, რომ არ დასჭირდება ძალიან ბევრი მუშაობა. თავდაპირველად შეიძლება გაუჭირდეს, გონება ცოტა გასავარჯიშებელი იქნება, შეიძლება დავალებების დაწერა გაურთულდეთ, მაგრამ შემდეგ გონება აუცილებლად გავარჯიშდება და თვითონაც მიხვდებიან, რომ უფრო ადვილად დაიმახსოვრებენ ყველაფერს. სკოლაში შეიძლება არამხოლოდ განათლების მიღება, არამედ კულტურული განვითარებაც. სჯობს, რომ ახლავე დაიწყონ სწავლა, მეცადინეობა, ვიდრე მომავალში უფრო მეტი სასწავლი დაუგროვდეთ და უფრო გაუჭირდეთ. ჩვენს ასაკში გონება მაქსიმალურად ადვილად ვითარდება და ყველაფერს ადვილად ვიმახსოვრებთ.

**— რას აპირებთ სამომავლოდ? გაქვთ თუ არა მომავალი პროფესია არჩეული?**

ალეკო: მე მაქვს არჩეული ჩემი პროფესიული მიმართულება, თუ რა მხრივ მინდა განვითარება. ვაპირებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარებას. სწორედ ამიტომ ვიღებ ამ პროექტში მონაწილეობას, რომელიც ემხრობა კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს. ერთგვარ საფუძველს ვიქმნი, რომ შემდეგში გამიადვილდეს და გავიღრმავო ცოდნა კანონების, ადამიანის უფლებებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ.

ზაქარია: მე კონკრეტულად არც პროფესია მაქვს არჩეული და არც სასწავლებელი მაქვს გადაწყვეტილი თუ სად ჩავაბარებ, მაგრამ რამდენიმე ვარიანტი მაქვს. ყველაზე მეტად რაც მიზიდავს, დღეს დღეობით, ეს არის ბიოქიმია, ფიზიკის განხრით კი ნანოტექნოლოგიები. მაგრამ ზუსტად არ მაქვს გადაწყვეტილი, რომელს ავირჩევ ამ ორიდან. არც ის გადამიწყვეტია, ქვეყნის ფარგლებში ჩავაბარებ თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

**გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1959 WLIS NOEMBERI

● QALAQ TBILISIS ERTERTI AGUR-KRAMITIS QARXNIS MONITORMA (WINAT NASAMARTLEVMA) VŁA DIMER NOVIKOVMA NASUADREVS TRIKOTAJIS -FA BRIKASI GAIARA, TAVISI MOGVARE EVGENI GAMOIZAXA DA RAMDENIME WUTS ERTAD SEIRNOBDNEN. SEMDEG ARAYI IYIDES DA GAMOTVRNEN. QARXNIS EZODAN GAITACES SATVIRTO AVTOMANQANA. MILICIA GA MOEKIDA, MAGRAM MIMALVA MOASWRES. VLADIMERMA, ROMELIC WITELWYAROSI NACXOVREBI IYO, DA - NASAULIS KVALIS DASAFARAD GEZI AQET AIRO. GASTROLIOREBI DIDXANS ATVALIEREBDNEN `SA KBILOS~. SEATVALIERES SAKOLMEURNEO BAZARI. RAMDENIME XANSI WITELWYAROS STS-IS EZOSI AMOYVES TAVI, IQIDAN VLADIMERMA ERTI RKINIS NAWERI WAMOIRO. NASUADREVS WITELWYAROS SO FLIS KOOPERATIVIS # 2 MARAZIASI SEVIDNEN. GAMYIDVELIS GARDA ARAV IYO. MIATVAL-MOATVALIERES DA DAXLI MUSAKS QVEMO VITRINIDAN SAATIS GAMO REBA STXOVES. GAMYIDVELI DAIXARA, DROS VLADIMERMA RKINIS KETI KEFAS MARJVED UTAVAZA. GAMYIDVELI DATORT MANDA DA DAECA, BANDITEBI KI SEE - CADNEN MARAZIIDAN GAETANAT FULI DA ZVIRFASI NIVTEBI. MAGRAM GAMYIDVEL GONS MOVIDA DA YVIRILI ATEXA. BAN DITEBI KI MIIMALNEN. MAGRAM MILICIIS FXIZELMA MUSAKEBMA EVGENIS TBILISS MIAGNO. WITELWYAROS SASAMARTLOM AM DREEBSI GAARCIA SAQME. E. NOVIKOV MIESAJA 8 WLIT TAVISUFLEBIS ARKVET DA QONEBIS KONFISKACIA, XOLO GAQ- CEUL VLADIMERS KI ALBAT `SAQATMIS KARZE GAUTENDEBA~.

● SOFEL JAFARIZIS KOLMEUR- NEOBIS XALXMRAVAL KREBAZE MSROME LEBMA UDIDESI SIXARULIT GANIXILES MASALEBI NIKITA XRUSCOVIS ASS-SI MO GZAUROBIS SESAXEB, ROMELIC UZARMAZARI WIN - GADADGMULI NABIJIA MSVIDOBIS GANMTKICEBIS SA QMESI. MITINGZE SITYVIT GAMOVIDA MEMINDVREOBIS # 1 BRIGADIS BRIGADIRI GIORGI SARMAZANAS - VILI. MAN ARNISNA, ROM XRUSCOVIS SAMSVIDOBO VIZITIS SEDEGAD MNISVNELOVNAD SEMCIRDA CIVI OMIS SAFRTXE. MISI TQMIT, JAFARIZELMA MSROME LEBMA AM ISTORIUL MOVLENAS SAMEURNEO MACVENE BLEBIS ARMAVLOBIT UNDA UPASUXON. MEVENAXEOBIS # 2 BRIGADIS MERGOLURMA I. FAVLENISVILMA KI VALDEBULEBA AIRO RGOLZE GAPIROVNEBULI 4,5 HA VENAXIS TITOEULI HEQTRIDAN MEMRIS MOIYVANS 140 CENTNER YURZENS. KOLMEURNE MSROMELEBMA MITINGIS BOLOS ERTXMAD MOIWONES, ROGORC GAMOMSVLELEBIS SITYVA, ISE XRUSCOVIS VIZITI.

● SAWIROA, MOSWAVLETA KOLEQTIURI SVLA KINOSI. KLASIS XELMZRVANELEBS TAVIANT SADAMRI GEBLO JGUFSI SAARMZRDELO GEGMIS ERTERT SA- KITXAD SETANILI AQVT MOSWAVLETA KOLEQTIURI SVLA KINOSI, MAGRAM IGI XSIRAD SEUSRULEBELI RCEBA IMIS GAMO, ROM QVEMO QEDSI SAKOLMEUR NEO KLUBIS MSENEBLOBA JER AR DASRULEBULA. KARGI IQNEBA, TU RAIONIS KULTGANYOFILEBA DAGVEXMAREBA MOZRAVI KINOTI. MOSWAVLETATVIS KINOCVENEBIS GAMARTVA TAVISUFLAD IQNEBA SESA ZLEBELI SKOLIS SENOBASI. MTAVARIA ORGANIZEBA.



სოფელი ჯაფარიძე წითელწყაროსთან შესისხლხორცებულია, სტუმარი ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარს ვერ იპოვის, თუ არ შეხედავს სოფლის აბრას – 1969 წ.

● QVEMO QEDSI ARMOCENILI UNIKALURI NI- VTEBI EKUTVNIS PALEOLITUR XANAS. SEQTEMBERSI MDINARE ALAZNIS SAMXRETIT, ERTI KILOMETRIS DASOREBIT, `NAQALAQARIS~ MAXLOBLAD ARMOACINES SPILOS, SAMCLIQA CXENIS, IRMISA DA MARTORQIS ZVLEBI, ROMLEBIC MECNIERTA AZRIT PALEO - LITUR XANAS, ESEIGI MILIONI WLIS WINANDEL PERIODS MIEKUTVNEBA. ASET CXOVELTA BINADROBA DA ARMOCENEBI ISVIATIA SAQARTVELOS TERITO RIAZE DA ES MRAVALMXRIV SESWAVLAS MOITXOVS ISE KI, QEDEBIS ZONASI MRAVALJER ARMOACH NES ISTORIULI MNISVNELOBIS ISETI NIVTEBI, ROMLEBIC MECNIER-MUSAKTA YURADREBAS IQCEVS. AQ ARMOCENILMA NIVTEBMA GAAMDIDRA SAQARTVE LOS SAXELMWIFO MUZEUMI, RISTVISAC MUZEUMIS DIREQCIAM DAAJILDOVA SKOLIS IS MOSWAVLEEBI, ROMLEBMAC ES NIVTEBI SEMTXVEVIT IPOVNES.

## 1975 WLIS NOEMBERI

● SOFEL GAMARJVEBIS SASURSATO MARAZHA SI GAMYIDVELS N. IREMAZES DRIS SAATEBSI GA YIDVASI ARMOACNDA ARAYI DA RVINO `ALJIRI~. MANVE, ARASRULWLOVAN T. ALURISVILS MIHYIDA 1 BOTLI ARAYI DA GAMOARTVA ZEDMETAD ERTI KAPIKI.



ყოველდღიურად მშვენდება სოფელი ჯაფარიძე. უკანასკნელ წლებში, აშენდა სასოფლო საბჭოს და კულტსახლის შენობები – 1969 წ.

● LOTOBIS WINAARMDEG BRZOLAS SAGRZ- NOBLAD ASUSTEBS IS GAREMOEBA, ROM RAISA BWOS MUSAKEBI YOVELTVIS AR IYENEBEN KANONIT GATVALISWINEBUL RONISZIEBEBS. ASETI PIRI GA MOVLENIL IQNA 66, MAGRAM DAJARIMEBISAS MU SAKEBI YOVELTVIS AR ICNOBDNEN GAMOVLENIL FAQTEBS. CVENIS MXRIV AR GAMOVLENILA SIN GAMOXDILI ARYIS REALIZEBIS FAQTI. RAIO- NIS YVELA SOFELSI AR WARMOEBDA QMEDITI BRZOLA MAVNE ZNE-CVEULEBEBISA DA GADMONAS TEBIS WINAARMDEG, ROGOREBIC ARIS QELEXEBI, NATLOBEBI, RELIGIURI DRESASWAULEBI, SADAC XDEBA ALKOHOLIS UZOMOD MIREBA. SAMWUXA- ROD, RIG SEMTXVEVEBSI DANASAULIS CADENAC.

● SOFEL JAFARIZIS AVTOPARKIS ZEINKAL MA Z. IAKOBISVILMA SAMUSAO SAATEBSI PARKSI MOMUSAVE SXVA PIREBTAN ERTAD DALIA RVINO. IYO RA MTVRALI, CAIDINA YACAROBA. DANIT XELSI, PIRADI QONEBIS DAUFLEBIS MIZNIT TAVS DAESXA MOQALAQE M. TOKLIKISVILS TAVIS SAVE BINASI, RASAC TAN ERTVIDA SICOCXLIS TVIS SASISI ZALADOBA. FULI MOITXOVA, RAC TOKLIKISVILMA AR MISCA, MASIN MAN GANZRAX MKVLELOBIS MIZNIT YELIS ARESI CAARTYA DANA, RITAC SASIKVDILO DAZIANEBA MIAYENA. TOKLI- KISVILI RAMDENIME DRIS MERE RAISAAVADMYO FOSI GARDAICVALA.

● V. BAGROVI, ROMELIC PATIMROBIDAN 1974 WLIS IANVARSI DABRUNDA, AR IQNA DAMAGREBULI SAMUSAOZE. AMITOM MAN XELI MIHYO LOTOBAS. DAIAREBODA QALAQ WITE- LWYAROSI MCXOVREB QALEBTAN, ROMELNIC GARYVNIL CXOVREBAS EWEVIAN. TAVIS MXRIV WITELWYAROS SAQALAQO SABWOS MUSAKEBI AR ATAREBDNEN RONISZIEBEBS ASETIS ARKVETIS TVIS, RKINIGZIS KORPUSI # 2 GADAQCEU- LI IYO GARYVNILEBIS BUDED. AM KORPUSSI MCXOVREBNI N. KUSMARCEVA DA E. AQSIMENKO EWEODNEN LOTOBAS, GARYVNIL CXOVREBAS, RIS GAMOC MATTAN MISUL G. KUKUNASVILTAN CXUBI MOUVIDA V. BAGROVS. AM UKANASKNELMA YELIS ARESI XELEBIS MOWERIT MOAXRCO ME TOQE, SEMDEG KI, DANASAULIS KVALI ROM DAE FARAT, GVAMI 200 METRIS MANZILZE GADAITANES RKINIGZIS SADGURIS EZOSI MDGAR RONODASI (VAGONSI).

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

## კროსვორდი



შვეულად: 1. რომელი ნედლეულისგან იღებენ ქაღალდს 2. პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავებში 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება 4. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელივ მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან და გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდაზე 5. დონ კიხოტის ცხენი 6. სომხეთის დედაქალაქი 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 14. ხილის რბილობი არის ცრუ ნაყოფი. რა არის ნამდვილი ნაყოფი 15. ფური პირველი ხბოს მოგებამდე 16. რა არ აქვს თეთრ ლექსს 17. ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი ომის“ გაჩაღებას 18. ხელოვნური ბოჭკო. ერთდროულად მიიღეს ნიუიორკში და ლონდონში, რაც აისახა სახელწოდებაზე 20. ფრინველი - ახალი ზელანდიის სიმბოლო 21. იტალიური ცეცხლსასროლი იარაღი. უწოდეს კონსტრუქტორის სახელი 24. მხატვარი ... ოქროპირიძე 27. სპარტანელების დევიზი: „ფარით, ... ფარზე“

მარაზულად: 4. გზებისა და ვაჭრობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ტემპერატურული სკალა 9. ვინ ჩაატარა პირველად ცოფის საწინააღმდეგო აცრები 10. თოჯინა, რომლის მამას, კარლო კოლოდის პატივსაცემად ალექსეი ტოლსტოიმ კარლო უწოდა 11. საკანცელარიო ნივთი, რომლის სკულპტურა აღმართეს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ 12. მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მონომერებისგან შედგება 13. პატარა აეროსტატი. რომლის მეშვეობით ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ მონაცემებს იწერენ 15. ხე, რომლის ქერქი სანელებლად გამოიყენება 19. რეპტილია ფრანგულ კულინარიაში 20. ფრანგული ბაღები - შადრევანი, ინგლისური ბაღი - ველური ტყე, იაპონური ბაღი - ქვები, იტალიური ბაღი - ... 22 ტერმინი, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავს „სულის განწმენდას“ 23. რომოსა და ჯულიეტას ქალაქი 25. ქედი რუსეთში, რომელზეც გადის წარმოსახვითი საზღვარი ევროპასა და აზიას შორის 26. მდინარე, რომელიც ლაპტევების ზღვაში ჩაედინება 27. მარჯნის კუნძული 28. ზამბახი 29. მამული, ..., სარწმუნოება

## მონატრება

### ილიკო შარვაძე



ექვსი წლის წინ, 2012 წლის 21 ნოემბერს, შემოდგომის სუსხიან ღამეს - მთავარანგელოზობის დღეს, ჩემს ოჯახს მოულოდნელად მეხი დაეცა. დატოვე ეს ქვეყანა და 38 წლის ასაკში მოულოდნელად გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში, ჩემო ილიკო, ორი დიდი საეკლესიო დრესასნაულის- მთავარანგელოზობის და გიორგობის კვირაში. შენ ამ ქვეყნიდან ნახვედი და ჩემს ცხოვრებას და სიცოცხლეს აზრი დაეკარგა. დედამ დაკარგა ერთადერთი შვილი, რომელიც ცხოვრებაში გზას უნათებდა და მომავლის იმედს აძლევდა.

შენ ახლა ისე შორს ხარ ჩემგან, შენს ნატვრაში თეთრად გატარებულ ღამეებს ვერ ვშველი, ტკივილს და მოგონებებს ვერ მიმსუბუქებ, შვილო. გული ტირის და უშენოდ ცხოვრებას მაიძულებს. გიორგობისთვის ჩამოვალო, დამირეკე წინადღით, მაგრამ ვაი, რომ ვერ შეუსრულე დედას სიტყვა და უბედური დედა ჩამოვიდა შენთან გიორგობისთვის. 6 წელია, აღარ დამხვედრიხარ, შენი ჩვეული მანერით, შენს მანქანასთან იდექი და მელოდი, დამინახავდი თუ არა, ხელს ამიწევდი და ღიმილიანი სახით ჩემსკენ წამოხვიდოდი. გენაცვალოს დედა, ახლაც გათვალიერებ, როგორც კი ჩამოვდივარ ვეძებ შენს მაღლა ანეულ ხელს და მომღიმარ სახეს, ჩემო ერთად-ერთო. დრო ყველაფრის მკურნალიაო,- ეს სისულელეა! დრო ფიქრთან, მონატრებასთან და გაუსაძლის დარდთან მარტო გტოვებს.

შენ ჩემი წარსულის დიდი სიხარული და დღევანდელი დღის მწარე მოგონება ხარ, ჩემო ილიკო. დიდ ტკივილსა და მონატრებაში გაილია ეს წლები, ჩემო სიხარულო, ჩემო ოცნებავ, ექვსი წლის უნახავო სისხლო და ხორცო. ძნელია ვიყო ცოცხალი და მენატრებოდე, შევცქეროდე შენს სურათებს და შენს მაგივრად ვიხუტებდე გულში. დაუჯერებელია, შენ ასეთი ენერგიის პატრონს, სრულიად ჯანმრთელს, როგორ მოგერია სიკვდილი. ლამაზი პიროვნება იყავი, არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანი სულიერი სამყაროთი. სიყვარულისთვის იყავი ამქვეყნად მოსული და ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი. რამდენი აუხდენელი ოცნება გაიყოლე მარადისობაში, ჩემო ბიჭო. ექვსი წელი დიდი დროა, მაგრამ ასე მგონია, ეს უცაბედი ელდა და დიდი მწუხარება გუშინ იყო. დედა–შვილის ურთიერთობა, მარადიულია, ამიტომ მას წარსულ დროში არ მოიხსენიებენ. ისინი ყოველთვის აწმყოში რჩებიან, მათ სიკვდილიც ვერ აშორებთ. ბევრი რამ მაქვს სათქმელი შენთვის... გული მტკივა, თითქოს ტრადიციად მექცა ასე გაზეთის ფურცლებიდან შენთან საუბარი. არავინ იცის, ვის რას უმზადებს ბედისწერა. ერთი და იგივე დღე ზოგისთვის ცხოვრების დასაწყისია, ზოგისთვის დასასრული. ექვსი წლის წინ 21 ნოემბერი სამყაროს დასასრული აღმოჩნდა ჩემთვის, დრო იქ გაჩერდა... ულმობელია წუთისოფელი, რაც დრო გადის ძალ–ღონეს გაცლის, რაც წავიდა აღარასოდეს დაბრუნდება. გთხოვ, შემინდო, ჩემო შვილო, უშენოდ არსებობა ამქვეყნად. გამოგიტყდები და გეტყვი, სიცოცხლე მინდა მხოლოდ იმიტომ, რომ შენს საყვარელ შვილებს ვასიამოვნო. ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში. ჩემი იმედი მინდა ჰქონდეთ, სანამ ცოცხალი ვიქნები. შენ მოახერხე სიკვდილის დამარცხება იმით, რომ დატოვე ორი ლამაზი შვილი - ნია და შენი მოსახელე და შენი ასლი პატარა ილიკო შარვაძე. იცოცხლებ მანამ, სანამ შენი შვილები და შენთვის უცნობი შვილიშვილები (მომავალში), იქნებიან ამ ქვეყანაზე.

უფალს ვთხოვ, მალე შემახვედროს შენთან, რადგან მონატრება, შენი მოფერება და გულში ჩახუტების სურვილი ძალიან აუტანელია ჩემთვის. ერთ დღეს, მეც დავამთავრებ ცხოვრებას და საყვარელ ქმარ-შვილთან სიყვარულით, ერთგულებით და სიხარულით დიდუბემი–ნერეთელზე, დაწყებულ ცხოვრებას გავაგრძელებთ ვაშლიჯვრის სამუდამო სამყოფელში და ვეღარაფერი დაგვამორებს ერთმანეთს.

მე მხუხარებით შევცქერი ქვაზე გამოსახულ თქვენს სურათებს და ვამბობ: მე თქვენი საფლავიც მიყვარს და მენატრება. ყოველთვის ვილოცებ თქვენი ნათელი სულებისათვის. დაე, ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა ცათა სასუფეველში. თქვენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

**შენი მონატრებული დედა** ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

# არ დაწვა ფოთოლი!

გვიანი შემოდგომაა. მიუყვები ქუჩებს. სუსხშეპარული ნიავი გელამუნება და ხიდან ბზრიალ-ტრიალით ცვივა ნირწამხდარი ფოთლები... ლამაზია, ძალიან ლამაზი ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ რაღაცნაირად სევდიანი...

ხვდები, ნოსტალგიურ განწყობაზე ხართ ორივე-შენც და ბუნებაც...

ქარი ქრის, ზამთრის სევდა მოაქვს თან...

ორ ნაბიჯში ქალი ფოთლებს აგროვებს და ცეცხლს უკიდებს. კვამლით იფარება არემარე. სპეციფიური, არასასიამოვნო სუნით იჟღინთება გარემო.

„ქარი ქრის, ქუჩაში ფოთლების ჯაზია“ - პოეტურ განწყობას გიფუჭებს რეალობა.

მცენარეული ნარჩენების, მათ შორის ფოთლების წვა აბინძურებს როგორც ჰაერს, ისე ნიადაგს. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის კვამლი გამოყოფს 9კგ მიკრონაწილაკს. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და წარმოქმნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ეგრეთ წოდებულ „სმოგს“;ეკოლოგები ამ ბოლს „ბიოლოგიურ იარაღს“ უწოდებენ. ნიადაგის ზედა ფენაში კი, მძიმე მეტალების შემცველობა 1,5-2 ჯერ იზრდება.

- „ფოთოლი როცა იწვება, მისი უდიდესი ნაწილი არ არის მშრალი და ბოლომდე გამხმარი, ამას ჰქვია არასრული წვა, კვამლი, რომელიც ამ დროს გამოიყოფა, ძალიან ბევრ შხამიან ნივთიერებას, მათ შორის მეთანს შეიცავს, რომელიც არის ადამიანისთვის ძალიან საშიში. ეს კი მრავალი დაავადების გამოწვევას უწყობს ხელს, კერძოდ, ბრონქულ ასთმას, ყელის სიმსი-ვნესა და სხვა. რაც შეეხება ბუნებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ამცირებს ჟანგბადის რაოდენობას და მატებს ამიაკისა და მეთანის რაოდენობას ჰაერს, რომელსაც ვსუნთქავთ ჩვენ.' — ეს გარემოს დაცვის ექსპერტის სიტყვებია.

ფოთლის წვა არის სეზონური პროცესი, რომელიც დასახლებულ ადგილებში ძირითადად გაზაფხულობითა და შემოდგომობით მიმდინარეობს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგუ-ლებში — გაზაფხულობით.

სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით, ფოთოლი ბუნების მნიშვნელოვანი პროდუქტია, რომელიც კომპოსტირების ან მისი მინერალიზაციის შემთხვევაში, იქცევა ძალიან კარგ და სასარგებლო სასუქად, რომელიც შემდეგ შეიძლება, ფერმერებმა- სოფლის მეურნეობაში, ხოლო არქიტექტორებმა- ქალაქის გამწვანებისთვის გამოიყენონ.

ფოთლების დაწვა ოდიდგანვე გავრცელებული მიდგომაა ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან გარემოს დანაგვიანება ისჯება კანონით, მისი სიმძიმე ჯერ არავის ჯიბეზე ასახულა უარყოფითად. ამ ფაქტორის ბრალია, რომ ფოთლების დაწვას დანაშაულად არავინ აღიქვამს და მოწოდება- არ დაწვა ფოთოლი!-კვლავ ცარიელ სიტყვებად რჩება.

ინგა შიოლაშვილი

# „მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს“

*(მეოთხე გვერდიდან)*

როგორიც ჩვენი მარინე ცხვედიაშვილია, ისეთ წარმატებულ ოჯახს, როგორიც ეს ოჯახია. 5 ვაჟკაცი მისცე ქვეყანას, 5 საიმედო ვაჟკაცი, ეს იშვიათობაა ჩვენს დროში, იბედნიერეთ და გაიხარეთ, უფალი იყოს თქვენთან, - თქვა ქალბატონმა ნონამ.

შეხვედრა გაალამაზეს სოფელ ჯაფარიძის კულტურის სახლთან არსებულმა ტრიომ ნატო ხუციშვილის, ნანა უძილაურის და გაიოზ ხუციშვილის შემადგენლობით, ასევე დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა გოგონების ტრიომ ნინო ნიკვაშვილის, ეკა ტალახაძის და მზია წყარუაშვილის მონაწილეობით. მსმენელის დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურა კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა სტუდია „ბასტი-ბუბუს“ აღსაზრდელის მარიამ ალუღიშვილის მიერ ჯემალ კუხალაშვილის ლექსის „ხორნაბუჯის“ მხატვრულად წაკითხვამ.

ღონისძიების დასასრულს ბატონმა ჯემალმა მადლობა გადაიხადა მონწვევისა და თბილი დახვედრისათვის და კულტურის ცენტრს და მუზეუმს საჩუქრად ის უნიკალური წიგნი აჩუქა, რომელიც მისი შემოქმედების მატიანეა.

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა უთხრა კულტურის ცენტრის დირექტორს **ნონა ჯიბღაშვილს,** მუზეუმის დირექტორს **ლალი გურასპაულს** და მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარეს **ნანა ჭიჭინაძეს** ასეთი მშვენიერი ღონისძიების მოწყობისათვის.

ამ ღონისძიებაზე დასასწრებად „სპეციალურად მოწვეული სტუმრის“ სტატუსით ჩამობრძანდა ლეგენდარული არსენ კობაიძის შვილიშვილი, ბებიის მოსახელე **ნინო კობაიძე**, რომელიც დედაქალაქში ცხოვრობს და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის კადრების დეპარტამენტის უფროსი გახლავთ. – უზომოდ კმაყოფილი მივდივარ, მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვიყავ, – თქვა ნინომ.

სტუმრებს ღირსეულად უმასპინძლა თენგიზ გონაშვილის და ლია ვაიტაძის ოჯახმა. ისინი ხომ ერთი ოჯახი არიან – მათი ქალიშვილი სალომე გონაშვილი გიორგი კუხალაშვილის მეუღლეა. ასე რომ, კუხალაშვილები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები ჩვენს რაიონთან. ამ ოჯახში დედოფლისწყაროელების ორი სიძე - ჯემალი და გიორგი ცხოვრობენ. მარინე და სალომე კი ამ დიდი ოჯახის დიდი და პატარა დიასახლისები არიან.

ნაირა გორაშვილი



## ულოცავენ!

### თენგიზ გონაშვილს!

გილოცავთ საიუბილეო – 65 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

65 წელი არც ბევრია და არც – ცოტა. ღირსეულად იცხოვრეთ, უკან მოხედვის არ შეგრცხვებათ. თქვენ თქვენი სიტყვა თქვით ცხოვრებაში – წარმატებული ფერმერი, კარგი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და პაპა – ერთ-ერთი მისაბაძი ოჯახი ხართ ქალაქში. იყავით ბედნიერი.

**პატივისცემით, მწიგნობართა ასოციაციის სახელით,**
ვანო ნატროშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, გოდერძი გონაშვილი, გენადი შიოლაშვილი, გოგი გონაშვილი.

## იყიდება!

იყიდება კერძო სახლი დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩა №160 (ჰერეთისა და ალადაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან ახლოს) დაგვიკავშირდით:

☎ 599-87-56-22
599-40-96-19
გიორგი ბოსტაშვილი

## იყიდება!

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება. გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039 სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 15,000 ლარი.

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.


## ამინდი — დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 19.11 | | სამშაბათი 20.11 | | ოთხშაბათი 21.11 | | ხუთშაბათი 22.11 | | პარასკევი 23.11 | | შაბათი 24.11 | | კვირა 25.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 7° | 4° | 6° | 4° | 10° | 7° | 7° | 4° | 9° | 7° | 6° | 4° | 2° | 1° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.